# საქართველო, ახმეტის მუნიციპალიტეტის
# ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

KA000063210850417

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49. Tel:+995 349 22 27 19; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmetasakrebulo@gmail.com

№ 60 **06 / ნოემბერი / 2017 წ.**

## განკარგულება

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქ.ახმეტაში, ჭავჭავაძის (ყოფილი სტალინის) ქუჩაზე მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული 55 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის უსასყიდლო უზუფრუქტით, ორი წლის ვადით საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისათვის გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-5, მე-6 პუნქტების, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქ.ახმეტაში, ჭავჭავაძის (ყოფილი სტალინის) ქუჩაზე მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული 55 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის (ყოფილი პოლიციის შენობა) (საკადასტრო კოდი 50.04.42.100) ორი წლის ვადით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისათვის გადაცემა.
2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, ალაზნის გამზირი ქ. N41).

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე — თამარ ყურიშვილი